საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კახიძე ამირან უსუპის ძე

კახიძე ამირან უსუპის ძე (8. VI. 1935, სოფ. ქვედა ჩხუტუნეთი, ახლანდ. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, - 11. XI. 2023, ბათუმი), არქეოლოგი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1981), ემერიტუსი. 1959 დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტის ისტ. ფაკ-ტი. 1959–60 მუშაობდა სოფ. ჩხუტუნეთის საშ. სკოლის მასწავლებლად, 1964–66 – აკად. ივ. ჯავახიშვილის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის ანტ. ხანის არქეოლოგიის განყ-ბაში, 1966–2006 – ნ. ბერძენიშვილის სახ. ბათუმის სამეცნ.-კვლევით ინ-ტში, 1994-იდან არის ბათუმის არქეოლ. მუზეუმის დირექტორი. პარალელურად კითხულობდა ლექციებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. უნ-ტში.

1970-იდან კ-მ დაიწყო აჭარისწყლის ხეობის არქეოლ. ძეგლების გეგმაზომიერი კვლევა, 1974 მონაწილეობდა დონის ექსპედიციაში.

კ-ის კვლევის უმთავრეს ობიექტს წარმოადგენს ფიჭვნარის ნაქალაქარი და ვრცელი სამაროვანი. 1998–2011 ხელმძღვანელობდა საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის პირველ საერთაშ. ერთობლივ ექპედიციას. მოპოვებული მასალის საფუძველზე გამოიცა მონოგრაფიები: „ფიჭვნარი I" (2004, თანაავტ. მ. ვიკერსი), „ფიჭვნარი II" (2007, თანაავტ. მ. ვიკერსი), „ფიჭვნარი IV" (2009, თანაავტ. თ. შალიკაძე), „ფიჭვნარი III" (2010, თანაავტ. ნ. ვაშაკიძე), „ფიჭვნარი V" (2014, თანაავტ. ე. კახიძე), „ფიჭვნარი VI" (2014, თანაავტ. მ. ვიკერსი),„ფიჭვნარი VII" (2015).

1999-იდან კ. ხელმძღვანელობდა გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედ ექსპედიციას. ასევე მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ექსპედიციები ბათუმის ციხეში, სოფ. ორცვასა და აჭარის მთიანეთში, ჩაქვის ჩაისუბანში, კაპანდიბში, მახოში და ა. შ.

კ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, მიღებული აქვს აბუსერისძე ტბელის სახ. პრემია.

თხზ.: საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები (ქობულეთი – ფიჭვნარი), თბ., 1971; აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ქალაქები (ფიჭვნარის ბერძნული სამაროვანი), ბათ., 1975; აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათ., 1993 (თანაავტ. შ. მამულაძე); Восточное Причерноморье в античную эпоху (Колхские могильники), Батуми, 1981.